პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 24 დეკემბერი, 1988 წელი ● № 52 (3080) ● СУББОТА, 24 ДЕКАБРЯ 1988 г.

## ПОМОЩЬ ПРОДОЛЖАЕТСЯ

**ПО ДАННЫМ** на 22 декабря сотрудниками органов и подразделений внутренних дел Грузинской ССР переведено денег на счет 000700464 357 тысяч рублей, отправлено 13.166 теплых вещей, сдано крови 785 сотрудниками или 157 литров, направлено в районы стихийного бедствия 48 специалистов и 18 единиц техники, отправлено 8 палаток.

В городе Степанаване находятся 120 сотрудников подразделений ОВД республики, 260 слушателей ТФМВШМ МВД СССР, которые вместе с местными сотрудниками милиции несут службу по охране общественного порядка.

Отправлено 8 тонн различных грузов (фрукты, колбаса, сгущенное молоко, минеральная вода и др), на 15 тысяч рублей медикаментов и перевязочных материалов, санаторий «Кодори» МВД Грузинской ССР выделил 200 мест для пострадавших.

Личный состав ГУВДТ МВД Грузинской ССР собрал 10.000 рублей. До 22 декабря сотрудниками ГУВДТ было сопровождено 30 поездов с 26.322 пассажирами, направляющимися в Краснодар, Анапу, Адлер, Сочи, Сухуми и Гагра, и 55 грузовых поездов, направляющихся в Армению.

Грузсовет «Динамо» направил в Армению для детей пострадавших семей спортивную форму и инвентарь на сумму 50 тысяч рублей.

## В ответ стихии — организованность

### НАШИ СПЕЦИАЛЬНЫЕ КОРРЕСПОНДЕНТЫ ПЕРЕДАЮТ ИЗ СТЕПАНАВАНА

**КАК УЖЕ** сообщалось в нашей газете, 16 декабря из Тбилиси в районы Армении, пострадавшие от землетрясения, выехал специальный отряд сотрудников ОВД республики. В составе 120 работников милиции Грузии: оперуполномоченные уголовного розыска, БХСС, сотрудники ППС, ГАИ, политработники, перед которыми была поставлена задача мобилизовать все силы для оперативного решения задач по охране общественного порядка в районах стихийного бедствия.

При землетрясении пострадало и здание ГОРОВД, поэтому наша беседа с заместителем начальника ГОВД Степанавана началась в маленькой уютной «юрте», которую установили казахские сотрудники милиции. Здесь сейчас расположены несколько палаток, где находятся городская прокуратура и паспортный стол.

Нашим сотрудникам было выделено место в новом районе города «Черемушки», где и был разбит палаточный городок.

В первые дни были и трудности, например, долго не могли установить палатки (к сожалению у сотрудников милиции почему-то нет таких

(окончание на 2-й стр.)




**На снимках:** сотрудники ГАИ Мцхетского РОВД старшина милиции Т. Дигмелашвили, старшина милиции Б. Мерабишвили и комсорг РОВД Степанавана милиционер ППС А. Халатян; заместитель начальника по политчасти майор милиции Г. Шермазанян.

## Из сообщений пресс-бюро МВД СССР

**КИРОВАБАД** (Азербайджанская ССР). Здесь проводится работа, касающаяся деятельности одного из лидеров движения, возникшего вокруг распущенного комитета «Карабах», Мурадяна И., старшего научного сотрудника Института экономики и планирования Госплана Армянской ССР, задержанного ранее, и его активистов Сисяна Б. и Гулгазаряна Г., доцентов Армянского пединститута имени Абовяна.

Указанные лица в течение октября – декабря текущего года (последний раз 2 декабря) на вертолете, осуществляющем рейсы по вывозу переселенцев-армян из Азербайджана, неоднократно прилетали с территории Армянской ССР в одно из сел с армянским населением Ханларского района Азербайджанской ССР, где проводили агитационную и пропагандистскую работу среди жителей, направленную на разжигание национальной вражды.

В результате провокационной деятельности в ряде мест сорваны сельхозработы. 14 декабря текущего года сотрудниками центрального аппарата МВД СССР задержан за активную деятельность в комитете «Карабах» Мирзоян Л. Г., 1958 года рождения до сентября текущего года работавший преподавателем Ташкентского пединститута. Мирзоян является близким помощником Мурадяна. По поручению Мурадяна 29 ноября 1988 года прибыл в Кировабад Азербайджанской ССР, организовал сбор различных фактов и тенденциозно использовал их в подготовке клеветнических писем в инстанции.

За время нахождения в Кировабаде четырежды выступал на несанкционированных митингах в «армянской» части города, проповедуя идеи межнациональной непримиримости, получая инструкции от Мурадяна о формах и методах работы среди армянского населения. У Мирзояна изъяты вещественные доказательства. Факты преступной деятельности Мурадяна, Сисяна, Гулгазаряна и Мирзояна подтверждены показаниями свидетелей. Материалы в отношении указанных лиц переданы в следственно-оперативную группу Прокуратуры СССР и МВД СССР для решения вопроса о привлечении их к уголовной ответственности по статье 67 УК Азербайджанской ССР (нарушение национального и расового равноправия).

**БАКУ.** Оперативной группой ГУБХСС МВД СССР совместно с УБХСС МВД республики разоблачена преступная группа взяточников, длительное время орудовавшая в системе Минавтотранса Азербайджанской ССР. Как установлено, арестованные собирали денежные средства для организаторов несанкционированных митингов, не выпускали автотранспорт на линию, оказывали давление на водителей, желающих работать, принуждали к увольнению с работы армян, евреев и русских. По данному факту возбуждено уголовное дело.

Указанным лицам предъявлено обвинение в получении взяток на сумму около 100 тысяч рублей; арестованы начальник автопредприятия междугородных перевозок Ибрагимов, главный инженер Асланов, начальник отдела эксплуатации Асланов, начальники автоколонн Юсуфов, Набизаде, Исмаилов.

## НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ

**19 ДЕКАБРЯ** состоялось оперативное совещание руководящего состава МВД Грузинской ССР, которое провел министр генерал-лейтенант в/с Ш. Горгадзе.

С информацией об оперативной обстановке в республике за 11 месяцев т. г. выступил начальник оргинспекторского отдела МВД Грузинской ССР подполковник милиции К. Буджиашвили.

Отмечено, что обстановка в республике за 11 месяцев т. г. характеризуется как стабильная, с сохранившейся тенденцией снижения уровня преступности.

С учетом оперативной обстановки УУР (т. Т. Вардანашвили) и УООП (т. Г. Бичашвили) указано:

обратить внимание на продолжающийся рост краж, грабежей и разбоев личного имущества граждан, а также тяжких телесных повреждений, и с учетом их распространения принять необходимые меры по стабилизации обстановки в этом направлении;

разработать дополнительные меры по активизации борьбы с угоном автотранспорта. Активизировать работу по борьбе с т. н. «Ворами в законе».

На совещании заслушан вопрос о значительном росте ДТП (за т. г.) со смертельным исходом, в связи с чем УГАИ МВД Грузинской ССР (т. Г. Цинцадзе) поручено усилить накал проводимых предупредительно - профилактических мероприятий по снижению тяжести последствий ДТП в республике; до конца 1988 года оказать практическую помощь аппаратам ГАИ ГОРОВД, где имеет место рост числа ДТП и тяжести их последствий.

Всем службам в праздничные дни усилить наряды для обеспечения надлежащего порядка по своим линиям.

### პარტორგანიზაციების საქალაქო და რაიონულ კონფერენციებზე

## მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის

### თბილისი

(პირველი მაისის რაიონი)

44-ე რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცება ხორციელდება ადმინისტრაციული ორგანოების წინადადებებისა და რაიონში შექმნილი ოპერატიული ვითარების გათვალისწინებით შემუშავებული საკოორდინაციო გეგმის მიხედვით. ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შედეგად საანგარიშო პერიოდში შეინიშნებოდა დანაშაულის შემცირების აშკარად გამოხატული ტენდენცია, მაგრამ ეს არ იძლევა თვითდამშვიდების უფლებას, რადგან ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი განსაკუთრებით საშიში დანაშაულობები, როგორიც არის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, სოციალისტური საკუთრების დატაცება, ხულიგნობა, ძარცვა, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა.

### რუსთავი

**გასულ** საანგარიშო პერიოდთან შედარებით ქალაქში 2,3 პროცენტით შემცირდა რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი...

მაგრამ გულახდილად ითქვა იმის შესახებაც, რომ დღეს გარდაქმნა ადმინისტრაციულ ორგანოებში რთულად მიდის. პრობლემები და გადაუწყვეტელი საკითხები ამ სფეროში საკმარისზე მეტია.

კარდინალურ გადაწყვეტას მოითხოვს მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა პრობლემა, რაც ქალაქისთვის განსაკუთრებით აქტუალურია უკანასკნელ წლებში. დიდი მუშაობაა საჭირო რეციდივისტული, საყოფაცხოვრებო, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის ნიადაგზე წარმოქმნილ დანაშაულობათა პროფილაქტიკისათვის.

სერიოზულ აღელვებას იწვევს სამართალდარღვევათა ზრდა არასრულწლოვანთა შორის, გაუმჯობესებას მოითხოვს მუშაობა მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისათვის.

და კიდევ: გვჭირდება უფრო გადამჭრელი დახმარება ადმინისტრაციული ორგანოებისა დატაცების ფაქტების, სპეკულაციისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ მიერ გამოვლენილი ფაქტები არ ასახავენ საქმის ჭეშმარიტ მდგომარეობას.

კვლავ არადამაკმაყოფილებელია საქალაქო ავტოინსპექციის მუშაობა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისათვის. ცდები, დამყარებულიყო წესრიგი ამ სამსახურში, არა და არ დამთავრდა წარმატებით.

## დაჯილდოება

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებით მილიციის უბნის ინსპექტორის თანამდებობაზე უმწიკვლო სამსახურისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული მაღალი შედეგებისათვის, დანაშაულობათა აცილებასა და გახსნაში პირადად მონაწილეობისათვის, ანტისაზოგადოებრივი ქცევის პირთა გამოსწორებისათვის გაწეული აქტიური მუშაობისათვის და სოციალისტური კანონიერების მკაცრად დაცვისათვის ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორი, მილიციის მაიორი არსენ მელქისედეკის ძე ლვინიანიძე დაჯილდოვდა სამკერდე ნიშნით — „მილიციის დამსახურებული უბნის ინსპექტორი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# В ответ стихии — организованность

(ОКОНЧАНИЕ).

навыков), когда подошло время к отбою, выяснилось, что не привезли для отопления печек и не хватило некоторым сотрудникам ППС тулупов. Не было организовано и питание; так как не позаботились своевременно о продуктах и поварах. Но благодаря усилиям и контролю со стороны заместителя министра внутренних дел республики полковника Т. Эпиташвили, который сопровождал колонну, на следующий день все пошло по нормальному руслу. Привезли и продукты, и печки для отопления, заработала кухня для приготовления горячей пищи, наладилась прямая связь с ГОВД Степанована и сотрудниками ППС, которые несут патрульно - постовую службу.



ТЕЛЕГРАММА НАЧАЛЬНИКУ ГРУЗИНСКОГО УВДТ
полковнику милиции
ТУШУРАШВИЛИ Р.С.

Уважаемый Робинзон Сергеевич,

Сердечно благодарю коллектив Грузинского УВДТ, который в эти тяжелые дни для армянского народа протянул братскую руку помощи своим коллегам из Армянского УВДТ.

Давние традиции нашей дружбы вновь подтвердили свою прочность и бескорыстие.

ЧВЕН ДИДАТ МАДЛОБЕЛИ ВАРТ ТКВЕН ГАН.

НАЧАЛЬНИК АРМЯНСКОГО УВДТ
полковник милиции
ШАГИНЯН Э.А.

**Телеграмма сотрудников УВДТ МВД Армянской ССР.**

На второй же день пребывания и ежедневно утром в 9 часов начальником штаба полковником милиции Н. Цкриалашвили проводится развод личного состава, и всем службам даются конкретные задания по охране общественного порядка в городе совместно с сотрудниками милиции ГОРОВД Степанавана.

Как приняли наших сотрудников местные сотрудники милиции и жители города, мы попросили рассказать заместителя ГОВД Степанавана по политчасти майора милиции Гагика Шермазаняна.

— В первую очередь я хотел бы отметить через вашу прессу благодарность, низкий поклон всех наших сотрудников и жителей нашего города братскому грузинскому народу за ту большую помощь и заботу буквально с первого же дня стихийного бедствия, обрушившегося на наш город и республику. Уже через несколько часов после землетрясения появились автомашины с помощью, всех нас тронуло, когда в город въехала первая машина, на бортах которой было написано: «брат братом силен». В этой машине наши грузинские братья привезли необходимые для людей, оставшихся без крова, хлеб, масло, колбасу и другие продукты питания.

Сейчас организована прямая связь со штабом ваших сотрудников милиции, у которых, кстати, с первого же дня прибытия в Степанаван боевой настрой и готовность в любой момент поехать в любую точку республики, пострадавшей от стихии.

Все службы в контакте с нашими сотрудниками оперативно несут службу по охране общественного порядка и выявлению нарушителей соцзаконности.

Приведу несколько примеров. По линии УР уже по трем фактам возбуждены уголовные дела. По всем этим трем фактам принимали активное участие и грузинские сотрудники. Старший лейтенант милиции В. Болквадзе из Аджарии, оперуполномоченный РОВД Хуло вместе с нашим старшим участковым инспектором майором милиции В. Габриэляном задержали 10 человек, которые похитили из продовольственного магазина в селе Гюлакарак промтоварные и продовольственные изделия, обнаруженные ими у последних на квартирах. Активно работает и оперуполномоченный УР РОВД города Гори капитан милиции Г. Мичиташвили, а лейтенант милиции А. Кюлян из Абхазии вместе с коллегами из Армении предотвратил хищение из спортивного магазина.

Выходя из палатки, где расположилось временное здание ГОРОВД, мы увидели большое скопление людей, которые пришли поблагодарить нас, представителей нашей республики, увидев автомашину с грузинскими номерами.

Николай Давтян — заведующий цехом швейной фабрики Уртского филиала степанаванской швейной фабрики.

— У меня дом оказался в аварийном состоянии после землетрясения, и моей семье пришлось жить в палатке, которую нам предоставили и собрали ваши сотрудники. Они поделились с нами пайком пищи. Большое спасибо всем вам!

Таких благодарностей мы слышали много.

Большую работу проделали и пожарные нашей республики, которые уже 8 декабря в полдень по распоряжению начальника управления пожарной охраны МВД Грузинской ССР полковника внутренней службы Д. Сурмава прибыли в район стихийного бедствия. Два оперативных отделения СВПЧ-3, СПВЧ-7, с общей численностью личного состава 13 человек, принимали участие в тушении отдельных очагов горения, а также в спасательных работах.

Отлично и на совесть поработали подразделения, возглавляемые старшим лейтенантом внутренней службы М. Дигдановым и старшим лейтенантом внутренней службы В. Алборовым.

Помогли пожарные и милиционеры ППС УВД Тбилгорисполкома, — рассказывает заместитель начальника подразделения ППС по политчасти капитан милиции С. Джалиашвили, — рядом с вами расположились в палатках представители города Донецка, они случайно оставили без внимания печку, которая отапливалась соляркой, и начался пожар. На помощь побежали сотрудники милиции и пожарные, предотвратили распространение огня на другие палатки и вынесли продовольствие и одежду. Здесь проявили самоотверженность и мужество старшина милиции Р. Надирадзе и старший лейтенант внутренней службы мастер спорта Г. Такашвили из СВПЧ-3.

В целом, все 20 сотрудников нашего подразделения прибыли в Армению работать и бдительно нести службу по охране общественного порядка и делают это, несмотря на трудности, возникшие в первые дни пребывания, от всего сердца, потому что знают — они пришли на братскую помощь, «а брат становится силен, когда чувствует локоть брата».

Моя беседа закончилась, подошло время обеда, и все организованно пошли в столовую.

**А. МАЛАЯНЦ.**
**Фото Г. Мгалоблишвили.**
**Наши специальные корреспонденты.**

г. Степанаван.







**На снимках: а может еще кто жив...; перед выездом на задание сотрудники ПСС УВД Тбилгорисполкома (слева направо) водитель старший сержант милиции Р. Амиразашвили; старший экипажа старший сержант милиции М. Джихвашвили, члены экипажа старший сержант милиции Г. Мамасахлиси и старшина милиции Р. Надирадзе; полевая кухня действует.**

# დაამტკიცეს პარტიული დახასიათება



**ქ. თბილისის** პირველი მაისის რაიონის შს განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის კაპიტანი ჰამლეტ შალვას ძე ხიზანიშვილი შს ორგანოებში მუშაობს 1980 წლიდან, სადაც მოვიდა შრომითი კოლექტივის რეკომენდაციით. მუშაობის პერიოდში მან თავი გამოიჩინა როგორც გაბედულმა, ენერგიულმა, პრინციპულმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა. მას დაკავებული ჰყავს ათობით სისხლის სამართლის დამნაშავე და ბოროტმოქმედი.

მიმდინარე წელს მოისმინეს მისი ანგარიში და დაამტკიცეს პარტიული დახასიათება, სადაც გაწეულ დადებით მუშაობასთან ერთად აღინიშნა, რომ ჰ. ხიზანიშვილმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს მოქალაქეთა საჩივარ-განცხადებების დროულ განხილვას, აგრეთვე გაუხსნელ საქმეებზე მუშაობას.

**ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ**

## მკაცრად გააფრთხილეს

**მიმდინარე წლის** 20 აგვისტოს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში „მათთვის სეზონი უკვე გაიხსნა“, მოხსენიებული იყო ფაქტი, სადაც ბრაკონიერებმა სარეიდო ჯგუფის მონაწილეებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ფაქტი, რომელიც ჯგუფის წევრებმა კასპის რაიონის შს განყოფილების მორიგეს, მილიციის უფროს ლეიტენანტს ტ. ქენქაძეს აუწყეს რეაგირების გარეშე დარჩა...

უფროსმა მორიგე ინსპექტორმა ტ. ქენქაძემ ფაქტი ხელმძღვანელობას არ მოახსენა, რაც შემდგომ საქმის მსვლელობაში მრავალი გაუგებრობის მიზეზი გახდა.

5 დეკემბერს ჩვენმა რედაქციამ მიიღო ამ ფაქტზე რეაგირების ცნობა, სადაც ვკითხულობთ, რომ პირადი შემადგენლობის ოპერატიულ თათბირზე მილიციის უფროსი ლეიტენანტი ტ. ქენქაძე მკაცრად იქნა გაფრთხილებული.

## ნაგავი და სისუფთავე

**გაზეთ** „მებრძოლი გუშაგის“ 1988 წლის 3 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში — „ეს წვრილმანი არ არის“, რომელიც ეხებოდა შს რაიონული განყოფილებების ადმინისტრაციულ შენობებში სისუფთავის დაცვას, გაკრიტიკებული იყო ყვარელის შს რაიონული განყოფილება.

რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც გვატყობინებენ, რომ ეს საკითხი განხილული იქნა განყოფილების ოპერატიულ თათბირზე, სადაც დაისახა ღონისძიებები აღნიშნული ნაკლოვანებების დროულად გამოსწორებისათვის. დასუფთავდა და მოწესრიგდა ყვარლის შს რაიგანყოფილების ადმინისტრაციული შენობის ეზო და შიდა ნაწილი.

**1988 წლის** 7 სექტემბერს საგარეჯოს შს რაიგანყოფილების პირადი შემადგენლობის ოპერატიულ თათბირზეც განიხილეს ზემოთხსენებულ წერილში აღნიშნული ფაქტები.

ამასთან დაკავშირებით მოეწყო შაბათობა პირადი შემადგენლობის ძალებით რაიგანყოფილების ტერიტორიის დასასუფთავებლად. შენობას ჩაუტარდა რემონტი.

# მხარში უდგანან, მაგრამ...

**საზოგადოებრივი** წესრიგის დაცვის საქმეში შს ორგანოებს მხარში უდგანან სხვადასხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, ფორმირებები. ამიტომაც არის, რომ სახალხო რაზმელი თითქმის იგივე უფლებებით სარგებლობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას, როგორც მილიციის მუშაკი.

ქ. დუშეთში შემუშავებულია სახალხო რაზმელთა მორიგეობის გრაფიკი. თითოეული ორგანიზაციის წარმომადგენლებს მორიგეობა უწევთ თვეში ერთხელ. უნდა აღინიშნოს, რომ რიგი სახალხო რაზმელებისა ფორმალურად უდგებიან მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. რიგ შემთხვევაში ზოგიერთი ორგანიზაციის სახალხო რაზმელები არ ცხადდებიან სამორიგეოდ, ხოლო იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები კი, რომლებიც ცხადდებიან, სრულად არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მაშ რით აიხსნება ის გარემოება, რომ მთელი წლის განმავლობაში სახალხო რაზმელებს არ წარმოუდგენიათ არც ერთი წესრიგის დამრღვევი ქუჩებიდან და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებიდან, არ წარმოუდგენიათ არც ერთი ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი მათგანი მორიგეობის დროს სახალხო რაზმელის სამკლაურს იხსნის და ჯიბეში იდებს, ეთაკილება საზოგადოებაში სამკლაურით ტრიალი.

მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში (22 რიცხვის ჩათვლით) სამორიგეოდ არ გამოცხადდნენ სახალხო რაზმელები 15 ორგანიზაციიდან. იმორიგევეს მხოლოდ 3 ორგანიზაციის — განათლების განყოფილების, სატყეო მეურნეობის და გარეუბნის მომხმარებელთა საზოგადოების სახალხო რაზმელებმა.

ამავე დროს არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმ გმირული საქმეებისა, რომელიც გამოავლინეს სახალხო რაზმელებმა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სადარაჯოზე და დამნაშავე ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

**თ. ლომინაშვილი,**
**დუშეთის ზონის უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი.**

**რედაქციისაგან:** დღეს სამწუხაროდ არც ისე იშვიათია და ეს არავისთვის არ არის სიახლე რომ, როდესაც სახალხო რაზმეულებზეა საუბარი ეს ფარულ ღიმილს და „ხელის ჩაქნევას“ იწვევს ჩვენი სისტემის თანამშრომელთა შორისაც კი. დიახ, სამწუხაროდ დღესდღეობით ასეა და ამის გამომწვევ მიზეზებს ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების სხვა პრობლემებისა საკმაოდ ღრმად აქვთ ფესვები გადგმული. ამ საკითხს კი, როგორც ეს ზემოთ მოყვანილი წერილიდანაც ჩანს დღითიდღე უფრო და უფრო მეტი ყურადღება ექცევა, მაგრამ ვფიქრობთ მდგომარეობა ჯერჯერობით კვლავ უცვლელია და რესპუბლიკის უმეტეს რეგიონში შექმნილი სიტუაცია ტყუპისცალივით გავს დუშეთში არსებულ ვითარებას. სწორედ ამიტომ ადგილებზე შს ორგანოების ხელმძღვანელებს მართებთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღნიშნულ საკითხს და მისი სათანადოდ ორგანიზების საქმეში გამოიჩინონ მეტი პრინციპულობა.

# КУРСОМ XIX ВСЕСОЮЗНОЙ ПАРТИЙНОЙ КОНФЕРЕНЦИИ

**Под этой рубрикой мы начали публиковать материалы, в которых мы просим начальников служб рассказать о тех положительных изменениях, проблемах, которые стоят перед их службами на сегодняшний день. В этих вопросах мы постарались охватить (на наш взгляд) основные моменты, происходящие в органах внутренних дел республики в процессе перестройки и гласности. Однако только этими вопросами мы не ограничивали никого, так как знали, что деловой тон ответов в прямой зависимости от активности и искренности ответчика.**

**Сегодня гостями «круглого стола» нашей редакции являются: начальник УООП МВД Грузинской СССР полковник внутренней службы ГЕОРГИЙ ВЛАДИМИРОВИЧ БИЧАШВИЛИ, начальник СУ МВД ГССР полковник внутренней службы МАМИЯ ИГНАТЬЕВИЧ ДЖАПАРИДЗЕ и начальник УГАИ МВД Грузинской ССР полковник милиции ГЕОРГИЙ ГЕОРГИЕВИЧ ЦИНЦАДЗЕ.**

## ЗА КРУГЛЫМ СТОЛОМ «БС»







# ПЕРЕСТРОЙКА И МЫ

**— Какие новые факторы выявились в стиле и методе работы в процессе перестройки во вверенной вам службе. Какие положительные сдвиги, проблемы и трудности есть в работе вашего коллектива.**

Г. Б.—Характерным в деятельности УООП в период перестройки является то, что активизировалась в целом работа по коренному улучшению деятельности как в самом Центральном аппарате, так и в подведомственных службах на местах. Чувствуется рвение, инициатива каждого работника Управления. К руководству УООП от начальников отделов более смелее поступают предложения об улучшении работы, а руководство всячески поддерживает новшества сотрудников.

Контакты руководства Управления с партийной организацией, ее бюро стали более понятными, деловыми. Таким образом, работа стала интереснее, живее.

М. Д.—В связи с проведением эксперимента по перестройке системы следственного аппарата органов внутренних дел Грузинской ССР, проведена определенная организационно-управленческая работа. В частности, на местах были созданы межрайонные следственные подразделения, упразднены дублирующие промежуточные контрольно-методические аппараты в Абхазской АССР и г. Тбилиси и т. д.

В организационном отделе Следственного управления МВД Грузинской ССР были созданы группы информации, анализа и планирования, группы по делам уголовного розыска и БХСС, а также группа зональных следователей.

В связи с намечаемым расширением подследственности, т. е. передачи следователям уголовных дел, которые в данное время расследуются следователями органов прокуратуры и дознания, и увеличения штатной численности следственных подразделений, возникает проблема их укомплектования, размещения, принятия мер к специализации, повышения их профессионализма.

Все это положительно сказывается на показателях следственной работы, которые ежегодно улучшаются.

Следует отметить, что согласно ранжированным данным об основных показателях работы следственных аппаратов МВД союзных республик, в I полугодии 1988 года следственный аппарат МВД Грузинской ССР по Союзу ССР по основным показателям занял 1-е место.

Более строже стали установленные законом сроки следствия, повысилось качество расследуемых уголовных дел, уменьшилось количество прекращенных дел. Значительно уменьшилось число лиц, освобожденных по реабилитирующим основаниям.

Г. Ц.—Пока коснусь только жизни. В нашей деятельности большое значение приобретает кадровый вопрос, так как только кадры могут решить благоприятный исход и успех в процессе гласности и перестройки. В этом большое значение приобретает проводимый Республиканский конкурс для занятия должности рядового инспектора дорожно-патрульной службы. В ряде регионов конкурсные мероприятия уже дали определенные положительные сдвиги.

Стало уже традицией и то новшество, что при проверке районных отделений ГАИ параллельно проверяются и все организации, деятельность которых имеет непосредственное влияние на оперативную обстановку на дорогах. Проводится и анкетный опрос населения района о деятельности ГАИ. Данные, собранные по этим материалам, обсуждаются на собраниях партийно-хозяйственного актива района, где принимаются соответствующие решения.

Мы также внедрили в практику обмен региональных автоинспекторов для проведения совместных рейдов.

**— Анализируя итоги прошедшего периода, что надо сделать Вам на конкретных участках для ускорения процесса перестройки и повышения эффективности.**

Г. Б. — За этот период Управление охраны общественного порядка достигло определенных результатов, однако в связи с тем, что это Управление по структурному строению отличается от других служб Центрального аппарата МВД Грузии (как известно, в это Управление входят разные службы: паспортный отдел и ВИР, отдел Службы, отдел по руководству участковыми инспекторами и связи с общественностью и др) необходимо изыскать новые методы по обеспечению охраны общественного порядка на улицах и в других общественных местах, особенно при проведении митингов, демонстраций.

Напрашивается необходимость усовершенствования работы по вопросам выезда граждан из СССР за границу и въезда иностранцев на территорию Советского Союза, что вызвано расширением связей и контактов с зарубежными странами.

Серьезные мероприятия проводятся совместно с Министерством здравоохранения и другими заинтересованными ведомствами по осуществлению антиалкогольного законодательства, однако эта работа требует дальнейшего углубления и масштабности.

В работе Управления есть конечно и ряд других проблем, решение которых осуществляется эффективными мероприятиями.

Всем известно, что в Тбилиси у Дома правительства в конце прошлого месяца в течение нескольких дней проходили митинги и одновременно объявили голодовку несколько десятков юношей и девушек.

В эти напряженные дни бдительно несли службу сотрудники милиции по обеспечению охраны общественного порядка, но провокационные выступления со стороны неформалов они не смогли пресечь, как это было в Кутаиси и Батуми. Можно сказать, что наши сотрудники не совсем справились с поставленными перед ними конкретными заданиями по охране общественного порядка.

Сильное землетрясение произошло в братской республике Армении, повлекшее за собой большие разрушения и человеческие жертвы. Весь советский народ протянул руку помощи армянскому народу, и в числе первых, которые откликнулись на беду, были и наши сотрудники, которые с первого же дня стихийного бедствия приняли непосредственное участие в обеспечении охраны общественного порядка и восстановлении разрушенных зданий.

М. Д. — Недавно мы получили новую структуру Следственного управления МВД СССР по союзной республике, где на основании нашей практики предусмотрено создание специализированного отдела по организации расследования преступлений на местах. Отдел будет укомплектован тремя отделениями.

Для руководства работой отдела в штат вводится должность заместителя начальника управления.

Таким образом, создание специализированного отдела позволит улучшить деятельность следственных подразделений на местах в вопросах взаимодействия со службами органов внутренних дел в раскрытии и расследовании преступлений, именно на начальной стадии, квалифицированному осмотру места происшествия, оперативному устранению выявленных недостатков, оказанию практической и методической помощи, т. е. улучшения дальнейшего совершенствования деятельности следственных подразделений.

Кроме того, в СУ МВД ГССР будет создано отделение кадров, секретариат и введена должность помощника начальника управления по материально-техническому обеспечению, которые непосредственно будут подчиняться начальнику управления.

Г. Ц. — Несмотря на принимаемые меры, в текущем году в республике отмечается рост количества погибших в автоавариях людей. За 11 месяцев 1988 года по территории Грузинской ССР имели место 2137 дорожно-транспортных происшествий, при которых погибли 599 и получили ранения 2505 человек.

По сравнению с аналогичным периодом прошлого года количество дорожно-транспортных происшествий уменьшилось на 22 случая или 1,02%, погибших возросло на 35 или 6,2%, а раненых сократилось на 59 человек или 1,4%.

Только в Абхазской АССР количество погибших в автоавариях увеличилось на 13 человек или 19,4%, только в гор. Сухуми количество погибших возросло на 11 человек. С целью оказания практической помощи, в автономную республику неоднократно выезжали бригады УГАИ МВД ГССР, по результатам которых руководству ГАИ давались конкретные указания об устранении имеющихся недостатков в работе. Однако, должных выводов руководство ГАИ МВД Абхазской АССР не сделало. Подтверждением тому служат результаты рейдовых мероприятий, осуществленных группой работников центрального аппарата УГАИ МВД ГССР на территории городов и районов Абхазской АССР в октябре месяце текущего года, когда было выявлено значительное число нетрезвых водителей за относительно короткий период времени. Не удовлетворяет предъявляемым требованиям и работа с кадрами. Несмотря на неоднократные указания о внедрении опыта УГАИ МВД ГССР в проведении конкурсных отборов лиц, желающих поступить на работу в органы Госавтоинспекции, аппарат ГАИ МВД Абхазской АССР никак не отреагировал на это.

В Юго-Осетинской АО число погибших возросло вдвое (+7). Серьезные недостатки в деятельности ГАИ МВД Юго-Осетинской АО выявленные в ходе проверок, обусловили подобное положение дел. Длительное время целое строевое подразделение ММВ ДПС практически не несло ответственности за состояние аварийности на участке дороги Цхинвали — Роки.

Серьезно осложнилась обстановка в текущем году в целом по ОБ ДПС ГАИ МВД ГССР и, в частности, в Кутаисском, Самтредском и Горийском ММВ, количество погибших только в этих трех строевых подразделениях возросло на 17 единиц или 70,8%, а раненых на 84 человека или 40,0%.

В этой связи необходимо отметить, что на протяжении длительного периода времени (5 месяцев) не назначен командир Самтредского ММВ, а исполняющий обязанности командира не в состоянии наладить работу надлежащим образом.

В связи с осложнением обстановки в Горийском ММВ, руководство УГАИ МВД ГССР сочло необходимым осуществить перемещение командиров Хашурского и Горийского ММВ, назначив на сложный участок — Горийский ММВ более опытного сотрудника. Данная мера дала уже определенные положительные результаты.

Следует также отметить, что новое руководство Особого подразделения ДПС УГАИ МВД ГССР недостаточно активно включилось в перестройку работы таких сложных участков как мотомеханизированные взводы ДПС.

В текущем году помимо вышеприведенных, в ряде регионов республики отмечается значительное увеличение числа погибших в автоавариях людей, в том числе в г. Рустави +6 погибших (200%), Цаленджихском районе +7 погибших (350%) и др.

В настоящее время, в связи с создавшимся тревожным положением на дорогах нашей республики, считаем нужным безотлагательно решить вышеперечисленные вопросы — кадровые, качественного и своевременного выполнения на местах конкретных указаний управления, повышения ответственности руководящих сотрудников как центрального аппарата, так и в регионах.

**— Как идет расширение гласности в вашей службе и какие результаты дает этот процесс в повседневной работе.**

Г. Б. — Особо следует отметить, что при гласности, которая большим напутствием вписывается в деятельность Управления, вопросы партийного или служебного характера рассматриваются с широким участием работников Управления.

Руководству Управления и партийному бюро, всему личному составу предстоит кропотливая, планомерная работа по выполнению задач, возложенных на Управление в период расширения гласности и демократии.

М. Д. — В целях расширения гласности, 20 июня 1988 года издан совместный приказ МВД с Госкомитетом Грузинской ССР по телевидению и радиовещанию, Союзом журналистов Грузинской ССР — «О расширении гласности в работе следственного аппарата МВД Грузинской ССР».

Сложившаяся в следственной работе практика широкого участия адвокатов в изучении прекращенных уголовных дел и отказных материалов значительно сократили заявления и жалобы граждан о необъективности и неполноте предварительного следствия. Перед коллективами трудящихся, а также через печать и телевидение приносятся извинения в случае необоснованного привлечения и ареста граждан.

Г. Ц. — Сегодня с помощью средств массовой информации всенародно обсуждаем дорожно-транспортную оперативную обстановку в республике.

В газете «Соплис Цховреба» под рубрикой «Водитель, автоинспекция и общество» одна полоса регулярно посвящается актуальным вопросам обеспечения безопасности движения. Ежеквартально выпускаем информационные листки и др.

**Материал подготовил К. АНДРИАДЗЕ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გზებსა და გზაჯვარედინებზე

ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება საკავშირო სტატისტიკის იმ პარაგრაფზე, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევების დროს დაღუპულ ადამიანებს აღრიცხავს, მაგრამ დარწმუნებული ვართ ჩვენი რესპუბლიკა ბოლო ადგილზე არ იქნება, ჩვენი რაიონი კი ნამდვილად გადაინაცვლებდა ამ დღეებში ერთ-ერთ პირველ ადგილზე, თვითონ განსაჯეთ:

20 ოქტომბერს დაახლოებით 1 საათზე. ნიგოეთში ავტომანქანა „ვაზ-2109“ ნომერი ს4091 გვ, რომელსაც მართავდა მურმან გივის ძე მანწკავა, სოფელ სუფსის მცხოვრები, ჯაპანიდან ლანჩხუთისაკენ მიემართებოდა. მანქანა გადავიდა სავალი ნაწილის მარცხენა მხარეს, ჩავარდა წყლის საწრეტ არხში, მგზავრებმა მიიღეს სხეულის მძიმე დაზიანება, ერთი მათგანი კი საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ოლეგ გერგედავა საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ავტოავარიების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი უმეტესად საღამოს საათებში ხდება, რომ ისინი თითქმის ერთსა და იმავე ადგილებზე, ერთი და იმავე მიზეზით ხდება და დაზარალებულიც ყველაზე მეტად ჩვენი რაიონი რჩება. შაბათს და კვირას კატასტროფების ძირითადი მიზეზი, ცხადია ალკოჰოლი გახლავთ. სხვა დღეებში — დამატებით გადაჭარბებული სიჩქარე, გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებები... მთავარი კი, ჩვენის აზრით, პროფესიონალ და მოყვარულ მძღოლთა დაუდევრობა, წესებისა და კანონებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება და ალბათ უკულტურობაცაა. კი ბატონო იქნება დარდიმანდი რაინდიც ბრძანდებით თავზეხელაღებული და რისკის მოყვარული, იქნება ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულიც გგონიათ თავი, მაგრამ გული თუ გაქვს და დედ-მამის ზრუნვა, ცოლ-შვილის სიყვარული რამედ მიგაჩნია, რატომ არ ერიდებით იმათ გამწარებას ან სხვის მშობლებსა და ცოლ-შვილს რად ერჩით?

არასერიოზული დამოკიდებულება გზებზე მოძრაობის წესებისადმი, ჩვენი რაიონის ავტოინსპექტორების სრული იგნორირება უკვე ნორმად იქცა. ვფიქრობთ აქ თვით შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებიც სცოდავენ. რამდენჯერ შევსწრებივართ — ისინი დგანან გზაზე, ან მოსახვევში თავიანთი ყველგან გამოსარჩევი „კანარეიკით“ და ელეგანტური ფორმის ტანსაცმლით. ავტომობილების ერთი ნაწილი მკვეთრად ამცირებს სიჩქარეს, მეორენი კი უცოდველი ღიმილით ჩაუქროლებენ და ხელსაც აუწევენ წესრიგის დამცველებს. ეს ძირითადად ჩვენი რაიონის მკვიდრნი გხლავან. ჩვენ არ ვქადაგებთ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირნდენ ავტოინსპექტორები მძღოლებს, მაგრამ არც ასე ძალიან ჩაძმობილება შეიძლება. თავმოყვარეობაც აღარ აწუხებთ ფორმიან ვაჟკაცებს — საქმე, რომელსაც ისინი ემსახურებიან, მძღოლების მხრიდან აბუჩად არის აგდებული, წესების დაცვას ვინ ჩივის, მომრავლდა „ოცდაოთხებით“ მამიკოს ბიჭების ჯირითი, საჭესთან მთვრალი კაცის დაჯდომა.

ამასწინათ ავტოინსპექტორთა რიგებში ერთი შავტუხა ყმაწვილი გამოჩნდა, საკმაოდ პრინციპულად ეჭირა თავი და არც თავაზიანობას ღალატობდა, ამრეზით უყურებდნენ ჩვენი რაიონის მძღოლები მას, მაგრამ სწორედ ასეთი საქმიანი და არა „ძმაბიჭი“ ინსპექტორები გვჭირდება დღეს.

ავტოინსპექტორების მძღოლებთან დაძმობილება ბოროტებაა, რადგან მას ყველაზე დიდი ღირებულება — ადამიანის სიცოცხლე ეწირება, თანაც ჩვენი, მოსახლეობის ყველაზე ჯანმრთელი, ენერგიული ნაწილი.

ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება იმაზეც, რომ გზები არ გვივარგა, რომ ავტომობილის მართვის უფლება ყველასათვის არ მიიცემა, რომ შვილებს ცუდად ვზრდით, როდესაც მათ წესრიგისა და კანონისადმი პატივისცემას არ ვუნერგავთ.

კიდევ რამდენი თამრიკო და თემური, ოლეგი და გიგა უნდა გავწიროთ იმისათვის, რომ ადამიანებმა შეიგნონ გზებზე და გზაჯვარედინებზე წესრიგის დამყარება უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქცა და მას დაუყოვნებლივ უნდა გადაჭრა.

## გვეყოს ამდენი მსხვერპლი!

### დამსახურებულ პენსიაზე გააცილეს

## „...ისევ იმ გზას ავირჩევდი“



გალის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სახანძრო ზედამხედველობის ქვეგანყოფილების უფროსი, შინაგანი სამსახურის მაიორი ვაჟა ფარცვანია მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს უმწიკვლოდ ემსახურა ხალხის სიმშვიდეს და კეთილდღეობას. სწორედ ამის ლოგიკური შედეგი იყო, რომ ვალმოხდილ თანამშრომელს საპატიო გაცილება მოუწყვეს.

სიტყვით გამოვიდნენ და ვალმოხდილი ადამიანის ღვაწლზე ილაპარაკეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანმა ნ. კვეკვესკირმა, რომელმაც ვ. ფარცვანიას გადასცა საპატიო სიგელი „სახანძრო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის“. რაიგანყოფილების უფროსის მოადგილემ ა. მარკველიამ აღნიშნა, რომ რაიონში საგრძნობლად ამაღლდა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დონე, ქვეგანყოფილებაში გაუმჯობესდა იდეურ-პოლიტიკური მუშაობა და მიკროკლიმატი, რაც პირველ რიგში ვ. ფარცვანიას დამსახურებაა.

დასასრულს ვაჟა ფარცვანიამ მადლობა გადაუხადა პირად შემადგენლობას მისი საქმიანობის ასე დაფასებისათვის, მოუწოდა ახალგაზრდა მუშაკებს ძალა და ენერგია არ დაზოგონ, მთელი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ ცეცხლისაგან სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეს. ბოლოს კი განაცხადა: „რომ შეიძლებოდეს ცხოვრების თავიდან დაწყება, ისევ იმ გზას ავირჩევდი, რომელზეც მთელი ოცდაათი წელი მივლია“.

ჯ. ბაბელია,
გალის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის მაიორი.

СПОРТ — სპორტი

# СПОРТ И МЫ

**БОЛЬШОЕ внимание уделяется занятию физподготовкой личным составом ГОВД Цхалтубо. Согласно строго утвержденному графику занятий по физической подготовке, проводятся учебные стрельбы из боевого оружия, совершенствуются приемы самообороны без оружия, проводятся различные турниры по шахматам, шашкам, волейболу, настольному теннису и футболу.**

**Недавно на центральном стадионе завершился турнир по мини-футболу среди сотрудников ГОВД Цхалтубо, посвященный памяти погибшего в неравном бою с преступниками лейтенанта милиции Элгуджи Чейшвили. В турнире приняли участие 5 команд: ППС, отделение ГАИ, пожарная часть, сборная офицеров и ОВО.**



**Лучшего результата добилась сборная команда офицеров, которая второй год подряд завоевывает переходящий приз. Ценный подарок вручен лучшему бомбардиру турнира Э. Бабунашвили, приз лучшего вратаря присужден М. Вашакидзе, а лучшим нападающим турнира признан М. Берадзе.**

**Л. ТАЛАКВАДЗЕ.**

• • •

**Н а с н и м к е: идут занятия по самбо.**

### გასწორება

ა. წ. 3 დეკემბრის 49-ე ნომერში დაბეჭდილ სტატიაში „მოზარდი და საზოგადოება“, სადაც საუბარი იყო ქ. თბილისის საქარხნო რაიონის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის წევრებთან, კერძოდ, კომისიის თავმჯდომარესთან ქ. სვანიძესთან, კომისიის მდივანთან გ. ყიფიანთან და რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორთან, მილიციის კაპიტან გ. სანიშვილთან, ამ უკანასკნელის მიერ არასწორად მოწოდებული იქნა ინფორმაცია, რაც გახდა მიზეზი, როგორც კორესპონდენტის, ასევე მკითხველის შეცდომაში შეყვანისა. საუბარი იყო არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ოთხი ერთეულით კლების ფაქტზე, სინამდვილეში კი რაიონში არასრულწლოვანთა შორის 11 თვის განმავლობაში დანაშაულმა 2 ერთეულით იმატა. ალბათ ციფრებს შორის დისბალანსი, საგრძნობია.

ვთხოვთ, შს რაიგანყოფილების ხელმძღვანელობას შეისწავლოს ეს ფაქტი და რეაგირება აცნობოს რედაქციას.

გ. სანადირაძე

# ნადირობა მგლებზე

რომანი-ქრონიკა

(იბეჭდება შემოკლებით)

(დასასრული)



— ამჯერად ჩვენ გავუწიოთ ბატონ ხუჩბაროვს მასპინძლობა, თქვა გენერალმა.

— სხვა დროისთვის გადავდოთ! — რახან შევხვდით, ბარემ ზოგიერთი რამეც გავარკვიოთ.

— მე და ბატონმა შადურმა, მგონი გავარკვიეთ ყველაფერი.

ინაურმა ცივად მოხედა ახმადს.

— თუ სუბორდინაციას დავიცავთ, რამდენადაც ვიცი, „პოლკოვნიკი“ უნდა ემორჩილებოდეს გენერალს!

— სხვა დროისთვის იყოს, — სცადა ფეხის ათრევა ხუჩბაროვმა. მას ხმა ჩაეხლინწა თითქმის.

— გთხოვთ!

— კარგით მაშინ, — ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა ახმადმა, — ქინვალამდე ჩაგაცილებთ...

...მანქანას ანჯღრევდა.

„პოლკოვნიკი უნდა ემორჩილებოდეს გენერალს!“ — აეკვიატა ინაურის ნათქვამი ხუჩბაროვს, — იქნებ ეს უნებურად იყო ნასროლი? ჩეკისტებთან უნებურად არაფერი ხდება! ასეა!...

...მაშინაც ზამთარი იყო. ოღონდ თოვლიანი და საშინლად ცივი. რამდენი წელიწადი გავიდა მას შემდეგ? თორმეტი? ცამეტი? მაგრამ ეს ყველაფერი თითქოს გუშინ იყო. გერმანელები გამძვინვარებით უტევენ კავკასიონის მთავარ უღელტეხილს. ოსმან გუბე კმაყოფილი იფშვნეტს ხელებს. მისმა „არწივებმა“ არაერთი „გმირობა“ ჩაიდინეს და ამიტომ:

— ახმად ხუჩბაროვ! — ფეხზე დგება პირთხელი, საოცრად მოძრავთვალება მამაკაცი, — მე უფლებამოსილი ვარ გადმოგცეთ ჩემი სარდლობის მადლობა და ჯილდო — რკინის ჯვარი! რაინდთა ხვედრია იგი. ამ ჯილდოს მხოლოდ უშიშარნი და ღირსეულნი ატარებენ. ჩემმა მთავრობამ თქვენთვის დააწესა საგანგებო წოდება. რა თქმა უნდა, იმ დამსახურებათა გათვალისწინებით, რასაც თქვენს მიერ განვლილი გზა ადასტურებს. ამიერიდან ჩვენს ხელმძღვანელობაში ვერმახტის პოლკოვნიკად მოიხსენიებით...

...მანქანა ქინვალს უახლოვდებოდა.

— დიდხანს დავრჩებით ქინვალში? — დაქეცილი, ნაგვემი კაცის ქშინვის მაგვარი ხმით იკითხა ხუჩბაროვმა.

— არ ვიცი, — მხრებს წევს შადური.

— რატომ?

— შენ გენერლის სტუმარი ხარ, აბა, მე რა გიპასუხო მის მაგივრად?!

ალექსი ინაურმა ოდნავ მოაბრუნა თავი, — ახმად ყოფილხარ თბილისში?

თბილისის ხსენებამ ერთიანად მოსრა ის ნაპერწკალი, ამდენხანს რომ ათბუნებდა ხუჩბაროვს.

— არა არ ვყოფილვარ.

რად დასჭირდა გენერალს თბილისის ხსენება?...

შემდგომში ვარლამ შადური გაიხსენებს, „— აქ ჩვენ შეგვეძლო წერტილი დაგვესვა ხუჩბაროვისა და მისი ბანდის „მოღვაწეობისათვის,“ მაგრამ გენერალ ალექსი ინაურის მითითებით ხუჩბაროვი და მისი დამქაშები სტუმარ-მასპინძლობის ყველა წესის დაცვით ვაწვიეთ თბილისს. პირობაც ასეთი იყო: თბილისში ჩასვლის შემდეგ ისევ გამოვაბრუნებდით უკან. ამასთან იარაღი არ ჩამოგვირთმევია. მეორე დღეს ხუჩბაროვი და ჩოკა ალექსი ინაურს უნდა შეხვედროდნენ!

გაჩნდა კითხვა: რამდენად მიზანშეწონილია გენერალთან აუდიენციაზე თავით ფეხებამდე შეიარაღებული ბანდიტების გამოცხადება? მით უმეტეს, ქინვალის ფაქტის შემდეგ?!

გენერალმა გაიღიმა: — ამჯერად ყველაფერი რიგზე იქნება! — თქვა მან და რამდენიმე მითითება მოგვცა.

ეს მართლაც გასაოცარი შეხვედრა იყო! იმ დღეს კიდევ ერთხელ წარმოჩნდა ქართველ ჩეკისტთა თავკაცის რაინდული ხასიათი: წინდახედულობა, ნათელი გონება, ცხელი გული. ჩვენთვის, მაშინ ახალგაზრდა ჩეკისტებისათვის ეს იყო კიდევ ერთი უდიდესი გაკვეთილი. მთელი ცხოვრების მანძილზე რომ გაგვყვა. სწორედ აქ, ამ შეხვედრაზე გადაწყდა ხუჩბაროვისა და მისი ბანდის ბედი...“

...ბარისახო. ღამე. ახმადი და ჩოკა აქედან ფეხით გამოუყვებიან გზას ბანდის სადგომისაკენ....

ახმადმა თქვა:

— მე უტყუარი ინფორმაცია მაქვს. მალე ომი დაიწყება. შეიძლება ორ-სამ თვეშიც, ერთ უცხო ქვეყნის წარმომადგენელთან შესახვედრად უნდა მოვემზადოთ....

— ოსმან გუბე? — უნებურად აღმოხდა ჩოკას, — კიდევ ერთი გუბე დაგვიწყებს ოქროს კოშკების აგებას.

— ის სხვა ქვეყანაა...

— ჩემთვის სულერთია. ეშმაკსაც წაუღია მაგათი თავიცა და მაგათი ომიც!

— მაშინ სხვა იყო. გვიღალატეს.

ჩოკამ განაგრძო:

— მე ყოველთვის მხარში გედექი, ახმად. ყოველთვის უღალატოდ. იქ; თბილისში მიცემულ სიტყვას ვერ გადავალ.

ახმადი გაბრაზდა.

— ჩეკისტები ყოველთვის შორი შედეგით ზომავენ თავიანთ შემოქმედებას.

— ცხადია — თქვა ჩოკამ, როცა გენერლის კაბინეტში ვისხედით მე ბევრ რამეზე ამეხილა თვალი. ინაური ჩვენი ოჯახების, ჩვენი შვილების მომავალზე ფიქრობდა.

— მერე ჩვენ სადა გვყავს შვილები, ოჯახი?

— ჩვენ არა, მაგრამ იქ, მთაში არაერთი ჩვენი მეგობარი ელოდება ჩვენგან მიტანილ სწორ სიტყვას. მათ მთავრობასთან შერიგება უნდათ.

— შენ საიდანღა იცი?

— ვიცი, ალბათ.

— ჰოდა ჩემი საბოლოო სიტყვაც იცოდე, — ტყუილია ეს ყველაფერი. დავღუპავთ ხალხს. დაგვშლიან და ცალ-ცალკე დაგვიჭერენ ვირთხებივით. შერიგებაც ეგ იქნება.

— დაჭერილი არ ვიყავით?! — გაკვირვებით მოხედა ჩოკამ. — შენ ფიქრობ, ჩვენი დაჭერის შემდეგ ბანდა არ დაიშლება? დაიშლება, მაგრამ ამას მართლა მოყვება მსხვერპლი. შეშინებული კაცი ათასგვარ სისულელეს ჩაიდენს! ნუ გასტეხ სიტყვას! თითქმის მუდარა გაისმა ჩოკას ხმაში.

— ტფუ! — შეიღრინა ხუჩბაროვმა და ზურგი შეაქცია ჩოკას. ჩოკას სხეულში ერთდროულად იფეთქა ათასმა ნერვმა. ხელმა თავისით მოძებნა მაუზერის ბუდე. ასეთი შეურაცხყოფა მისთვის არავის მიუყენებია! ეს რომ გაისაზრა, თავად გაუკვირდა, რა ძალამ დააბრუნებინა უკან ამოღებული იარაღი.

ამ ფიქრში რაღაც უჩვეულო სინათლის მომატება იგრძნო. ნათლება! იქ მთის კორტოხზე ცივ გამოქვაბულში მას ადამიანები ელიან. ჩოკამ მათ უსათუოდ უნდა მიუტანოს ამ სინათლის ნაწილი.

* * *

ზუსტად სამი დღის თავზე, განთიადის ჟამს ბარისახოდან თბილისისაკენ მიმავალი ავტობუსის მძღოლი იძულებული იყო მანქანა გაეჩერებინა. საკმაოდ მოზრდილი ქვებით ჩახერგილი გზის შუაგულში შაშხანამომარჯვებული მამაკაცი იდგა. მან გამყინავი ხმით უბრძანა მგზავრებს — თითო-თითოდ ჩამოსულიყვნენ ავტობუსიდან. ფული, სამკაულები და სხვა ძვირფასი ნივთები მის წინ, ქვაზე დაეწყოთ. მძარცველს განძეულის ნაცვლად ხელბორკილი ერგო. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები ელოდნენ ამ წუთს — ნიღაბს ამოფარებული მძარცველი ახმად ხუჩბაროვი გახლდათ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ № 45-51.

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ:
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი
ა. კოზალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 00397